ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3017442

ნომერი: AR1466167

თარიღი : 23.12.2016

გაცემის თარიღი : 06.01.2017

გაცნობის თარიღი : 11.01.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი V მ/რ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რევაზ ნოდია პ/ნ 01024006153
- ყაზბეგის 35

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადება

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2397579 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 23

დეკემბრის №AR1466167 განაცხადით მომართა რევაზ ნოდიამ თანაგანმცხადებელ ლერი გვენეტაძესთან და მოითხოვა ამავე სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2397579 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება. სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2397579 ბრძანებით და დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ქალაქი თბილისში, გლდანის V მ/რ-ში არსებული მიწის ნაკვეთისათვის (ს/კ: №01.11.09.004.017). ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე, სამსახურის 2016 წლის 10 ივნისის №2641608 ბრძანებით შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი, რომელიც ძალადაკარგულად გამოცხადდა სამსახურის 2016 წლის 22 ოქტომბრის № 2930019 ბრძანებით.
ქალაქი თბილისში, გლდანის V მ/რ-ში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ: №01.11.09.004.017) მესაკუთრეს, საჯარო რეესტრში დაცული მონაცემების თანახმად (ამონაწერი საჯარო რესსტრიდან, განცხადების რეგისტრაცია №882016721106, მომზადების თარიღი: 25/10/2016 11:45:47), წარმოადგენს შპს „ნოლა 16“. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B16101375, 14/07/2016 11:07:37 თანახმად), შპს „ნოლა 16-ის“ ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირია დირექტორი ლერი გვენეტაძე.

დღეისათვის, წარმოდგენილი განაცხადით, ლერი გვენეტაძე ითხოვს სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2397579 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას, ვინაიდან, აღარ გააჩნია აღნიშნული ბრძანებით შეთანმებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების საფუძველზე ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების უფლება აქვს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

“ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის თანახმად, ნებართვის გაცემის შესახებ გადაწყვეტილების ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძველი, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლში განსაზღვრული საფუძვლების გარდა, შეიძლება იყოს ნებართვის მფლობელის მოთხოვნა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლისა და “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-7 პუნქტის “ა” ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს რევაზ ნოდიასა და თანაგანმცხადებელ, შპს „ნოლა 16-ის“ დირექტორის, ლერი გვენეტაძეს 2016 წლის 23 დეკემბრის №AR1466167 განაცხადი;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქ. თბილისის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 27 იანვრის №2397579 ბრძანება.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.